

## ბრიუსელის დეკლარაცია

### ტერმინოლოგიაში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის

#### *ეროვნული და საერთაშორისო ტერმინოლოგიის ასოციაციების, ქსელებისა და დოკუმენტაციის ცენტრების წარმომადგენლები*

- მიიჩნევენ, რომ ტერმინოლოგია ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს;
- აცნობიერებენ, რომ დარგთაშორის საერთაშორისო ტერმინოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამასთანავე, იგი განამტკიცებს და ხელს უწყობს კულტურულ და ლინგვისტიკურ მრავალფეროვნებას;
- საჭიროდ მიიჩნევენ, პროფესიონალებსა და კანონმდებლებს გააცნობიერებინონ ტერმინოლოგიის, როგორც ურთიერთობისა და ცოდნის გადაცემის საშუალების, უმნიშვნელოვანესი როლი;
- ხაზს უსვამენ აუცილებლობას, პროფესიონალმა ტერმინოლოგებმა გაითვალისწინონ მომხმარებელთა მოთხოვნები და საჭიროებები;
- საჭიროდ მიიჩნევენ ყოველი მონაწილისა და დაინტერესებული პირის თანამშრომლობას საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, ტერმინოლოგიური წყაროების შეთანხმებულად გამოყენებას;
- სურთ გააძლიერონ ტერმინოლოგიის განვითარება და უზრუნველყონ მისი გავრცელება;

*მოუწოდებენ სახელმწიფოსა და მთავრობას, სამთავრობათაშორისო პირებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე ენის პოლიტიკაში ჩართულ პირებს:*

- მხარი დაუჭირონ გამართული ტერმინოლოგიის შექმნას დიდი ეკონომიკური ჯგუფებისთვის, როგორებიცაა, მაგალითად, ევროპისა და ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა (FTAA) და განავითარონ სხვა არსებული ტერმინოლოგიური წყაროები;
- ხელი შეუწყონ გამართული ტერმინოლოგიის გამოყენებას სასწავლო და საინფორმაციო პროგრამებში და ა.შ.;
- განავითარონ პროექტები, წამოწყებები და არსებული მიღწევები ურთიერთთანამშრომლობით;
- წახალისონ წამოწყებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხში, როგორიცაა ტერმინოლოგიურ მუშაობაში სახელმწიფო ორგანოების ჩართულობა;
- შექმნან ტერმინოლოგიური მუშაობისათვის, მისი განვითარებისა და განახლებისათვის მიზნობრივი საგრანტო პროგრამები;
- წახალისონ სახელმწიფო ინსტიტუტები აქტიურად ჩაერთონ მარეგულირებელი ორგანოების მუშაობაში (მაგალითად, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოს ტექნიკური კომიტეტი 37, „ტერმინოლოგია და სხვა ენობრივი წყაროები“), ასევე ის უწყებები, რომლებიც საერთაშორისო დონეზე აწესრიგებენ ტერმინოლოგიურ საკითხებს და უზრუნველყოფენ, ინტერნეტსივრცეში განთავსდეს დარგობრივი, კულტურული თუ ლინგვისტიკური სახის მასალა;
- მხარი დაუჭირონ ტერმინოლოგიის გამოყენებისათვის საჭირო წამოწყებებს განათლების ყველა - აკადემიურ თუ არაკადემიურ - საფეხურზე;
- სავალდებულო გახადონ ტერმინოლოგიის დარგი და დარგობრივი ენა ყველა მთარგმნელობით სასწავლო პროგრამაში და უზრუნველყონ ამ ენის გამოყენება ტექნიკურ თუ, ზოგადად, სამეცნიერო სფეროებში;
- ხელი შეუწყონ ერთი, მაგრამ ლინგვისტიკური ნორმებით განსხვავებული, ენის მქონე ქვეყნებს შორის ურთიერთობას, რაც გულისხმობს ენობრივი სახესხვაობებისა და ენის ბუნებრიობის

გათვალისწინებით ტერმინების შექმნა-დადგენას; ეს კი გამორიცხავს მათ შორის ენობრივ ბუნდოვანებას;

- მხარი დაუჭირონ მრავალენოვნებას როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციულ და სახელმწიფო სფეროებში;
- უზრუნველყონ ტერმინოლოგიაზე უფასო წვდომა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო თუ საერთაშორისო დაწესებულებათა ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებულ ტერმინოლოგიაზე;
- შეისწავლონ ტერმინოლოგიის როლი და მისი თანამედროვე დანიშნულება სახელმწიფო და სხვადასხვა ინსტიტუციის სტრატეგიისა თუ პოლიტიკური მიზნებისათვის;
- უზრუნველყონ ტერმინოლოგიის მეთოდოლოგიის ექსპერტების მუდმივი მომზადება იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთაც სურთ შეიმუშაონ ენის პოლიტიკა (ასეთი ქვეყნების რიცხვი მუდმივად იზრდება). მხარი დაუჭირონ ამ ქვეყნების ექსპერტთა აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო ტერმინოლოგიურ მუშაობაში.

ბრიუსელი, 15 ივნისი, 2002